ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5661189

ნომერი: AR1855730

თარიღი : 11.10.2021

გაცემის თარიღი : 29.10.2021

გაცნობის თარიღი : 29.10.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩერქეზიშვილი , N 19 , (ნაკვ. 11/7);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბრეგაძე პ/ნ 41001002553
- ქ.ტყიბული. მერკვილაძის 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 ივლისის №5501617 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 11 ოქტომბერს №AR1855730 განცხადებით მომართა ირაკლი ბრეგაძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 14

ივლისის №5501617 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 09 იანვრის №4816137 ბრძანებით №01.10.12.011.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4924225 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2020 წლის 09 იანვრის №4816137 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და შეიცვალა მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის №18-01200981007 წერილის შესაბამისად.
სამსახურის 2021 წლის 28 მაისის №5424075 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.12.011.007) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 14 ივლისის №5501617 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ორგანიზების პროექტი წარმოდგენილ იქნა 24 თვეზე (2021 წლის 14 ივლისიდან 2023 წლის 14 ივლისის ჩათვლით).
განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს სამსახურის 2021 წლის 14 ივლისის №5501617 ბრძანების შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და ითხოვს ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სამსახურის 2021 წლის 14 ივლისის №5501617 ბრძანების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882021124921; მომზადების თარიღი: 09.03.2021 წ.) მიხედვით ქალაქ თბილისში, ჩერქეზიშვილის ქუჩა №19-ში (ნაკვ.11/7) მდებარე №01.10.12.011.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "სტატიო". მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20060355, 03/08/2020 წ.) შპს "სტატიოს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: №400005533) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ირაკლი ბრეგაძე და თეიმურაზ დუდაური. შპს "სტატიოს" 2011 წლის 22 აგვისტოს პარტნიორის გადაწყვეტილებით საზოგადოებას დირექტორები წარმოადგენენ დამოუკიდებლად ცალ-ცალკე. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2021 წლის 14 ივლისის №5501617 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება (მათ შორის მშენებლობის ეტაპების დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი).
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,
ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს ირაკლი ბრეგაძის 2021 წლის 11 ოქტომბრის №AR1855730 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 14 ივლისის №5501617 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge